სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

19.06.2013 წელი

2 ეგზ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

აუდიტის ანგარიში N 4/105

2012 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

აუდიტის ანგარიში 4
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა 4
აუდიტორის პასუხისმგებლობა 4
პირობითი მოსაზრების საფუძვლები 5
პირობითი მოსაზრება 7
სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები 8
ფინანსურ ანგარიშგებაში გამოვლენილი არსებითი სისუსტეები 8
შიდა კონტროლის სისუსტეები 8
შრომის ანაზღაურება 12
ფინანსურ ანგარიშგებაში იდენტიფიცირებული ნაკლოვანებები 12
ბიუჯეტის შედგენა-შესრულების მდგომარეობა 13
ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები 15

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას:

მინისტრს	ნუგზარ სურმანიძეს
მინისტრის პირველ მოადგილეს	რომან ბოლქვაძეს
მინისტრის მოადგილეს	ნონა გალოგრეს
მინისტრის მოადგილეს	ლევან გორგილაძეს
მინისტრის მოადგილეს	რამაზ ჯინჭარაძეს

აუდიტის ანგარიში

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი, რომელიც მოიცავს სამინისტროს გაწეულ საქმიანობას, ნაერთ ბალანსს 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ნაერთ ანგარიშგებებს ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით: არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციები; ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციები, წმინდა ღირებულება, სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებებისა და ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია გაწეული საქმიანობის კანონიერებასა და მიზნობრიობაზე, ნაერთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა

იმგვარად, რომ მიღებულ იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

1. სამინისტროს აპარატი ჯანმრთელობის დაცვის მიზნობრივი პროგრამების განსახორციელებლად, სამედიცინო დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მონიტორინგს ახორციელებს პროგრამების მართვისა და მონიტორინგის განყოფილება, რომლის სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ინსპექტირების აქტი შესაბამისი ხელშეკრულებებით წარმოადგენს ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში პირგასამტეხლოს დარიცხვის საფუძველს. პირგასამტეხლო განისაზღვრება ცალკეულ პუნქტებზე საინსპექციო პერიოდში კომპონენტით შესრულებული სამედიცინო მომსახურების ღირებულების ერთი პროცენტის ოდენობით. იმ პირობებში, როდესაც ცალკეულ სამედიცინო დაწესებულებებზე, ინსპექტირების აქტების შესაბამისად, გამოყენებულია ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის დადგენილი სანქციები, სხვა იდენტურ შემთხვევებში, სათანადო დასაბუთების გარეშე, სახელშეკრულებო პირობების უგულებელყოფით[1], არ განხორციელდა პირგასამტეხლოს დაკისრება, რაც წარმოშობდა ბიუჯეტისათვის დამატებით შემოსავალს 13 084.7 ლარის ოდენობით. ამასთან, ხელშეკრულებით დადგენილი პირგასამტეხლოს დაკისრების მექანიზმი არასრულყოფილია, რაც სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.

2. სამინისტროს აპარატმა, ხუთ წელზე მეტი წლოვანების ოთხი ერთეული

[1] დარღვეულია შესაბამისი ხელშეკრულების 11.4 პუნქტის მოთხოვნები

ავტოსატრანსპორტო საშუალების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების მიზნით, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის [2] საშუალებით ხელშეკრულება [3] გაუფორმა შპს „ირბათ - ფ.ნ"-ს. გაწეული მომსახურების ღირებულებამ და სამინისტროს საკასო ხარჯმა შეადგინა 15 975 ლარი, საიდანაც 10 384 ლარის ღირებულების მომსახურება საერთოდ არ ყოფილა გათვალისწინებული ხელშეკრულებით. მომსახურების თითოეული პუნქტის ფასი განისაზღვრა მხარეთა ზეპირი ურთიერთშეთანხმებით. განხორციელებული მიწოდება თავისი შინაარსით ახალი შესყიდვაა, რაც განხორციელდა დადგენილი მონეტარული ზღვრების დაუცველად. მომსახურება ძირითადად განხორციელებულია მესამე პირების (ქვეკონტრაქტორების) მიერ, თუმცა შესაბამისი შეთანხმება არ არის გაფორმებული. გარდა ამისა, მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულება არ ითვალისწინებს სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში საჯარიმო სანქციებს, რაც სატენდერო დოკუმენტაციით იყო დადგენილი. განხორციელებული შესყიდვა მაღალი რისკის შემცველია.

3. სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა", მოსახლეობის ავადობის აქტიური გამოვლენის პროგრამის ფარგლებში, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის [4] საშუალებით ხელშეკრულება [5] გაუფორმა შპს „ქ. ბათუმის N1 პოლიკლინიკას". ხელშეკრულების შესაბამისად, მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელებულიყო გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, 2012 წლის 31 დეკემბრამდე. მიმწოდებელმა გეგმა-გრაფიკით დადგენილ ვადებში ვერ უზრუნველყო ვალდებულებების შესრულება, თუმცა ცენტრმა მიმწოდებლის მიმართ არ გამოიყენა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები. მიმწოდებლისთვის პირგასამტეხლოს სახით დაკისრებას ექვემდებარება 1 782.2 ლარი.

4. სააუდიტო პერიოდში სამინისტროს აპარატის ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე საწვავის გაცემა ხორციელდებოდა ტალონური სისტემით. ტალონების შენახვასა და გაცემაზე უფლებამოსილ პირთან მატერიალურად პასუხისმგებლობაზე ხელშეკრულება არ არის გაფორმებული[6]. რიგ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე გაწეული საწვავის დანახარჯი, გავლილი მანძილისა და ცვეთის გათვალისწინებით, შეუსაბამოა მწარმოებლის მიერ განსაზღვრულ ნორმებთან[7]. აგრეთვე, იმ პირობებში,

---

[2] SPA120005485

[3] ხელშეკრულება N009/გ.ე.ტ.(პ), 01/03/2013 წ. (ჯამური ღირებულება 16.0 ათასი ლარი)

[4] SPA120001960

[5] ხელშეკრულება N03-01/17, 03/02/2012 წ.

[6] დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-20 პუნქტი

[7] www.hyundai.com

როდესაც ავტოსატრანსპორტო საშუალებას თვის ნახევარზე მეტი დროის განმავლობაში უტარდებოდა სარემონტო სამუშაოები, აღნიშნულ თვეში შესაბამის ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე განპიროვნებულ უფლებამოსილ პირს სრულად აქვს ათვისებული მასზე გამოყოფილი საწვავის თვის ლიმიტი.

პირობითი მოსაზრება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, სამინისტროს გაწეული საქმიანობა და 2012 წლის 31 დეკემბრის ნაერთი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების შესაბამისად.

სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები
ფინანსურ ანგარიშგებაში გამოვლენილი არსებითი სისუსტეები

შიდა კონტროლის სისუსტეები

სამინისტროში დანერგილი სუსტი შიდა კონტროლის სისტემა განაპირობებს მისი ფუნქციონირების დაბალ ხარისხს, რაც გამოიხატება სხვადასხვა სახის ნაკლოვანებებში. მათ შორის,

1. სამინისტროს აპარატმა სამედიცინო დაწესებულებების ინვენტარით აღჭურვის კომპონენტის განსახორციელებლად, გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერზე[8] სამედიცინო მოწყობილობების სავარაუდო ღირებულება[9] განსაზღვრა ბაზრის კვალიფიციური შესწავლის გარეშე. პროგრამის/კომპონენტის თანახმად, ერთი ერთეული დეფიბრილატორის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 3.5 ათასი ლარით, ხოლო კარდიოგრაფის - 1.3 ათასი ლარით, თუმცა ინფორმაცია თითოეული მისაწოდებელი საქონლის მაქსიმალური ფასის თაობაზე, სატენდერო დოკუმენტაციაში არ იქნა ასახული. ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ [10] ტექნიკური პირობების შესაბამისად, შემსყიდველს წარუდგინა ინფორმაცია მისაწოდებელი საქონლის შესახებ და შესაბამისი სერტიფიკატები. წარდგენილი სერტიფიკატების თანახმად, მიმწოდებელი იღებდა Vcomin Technology Limited-ის წარმოებული სამედიცინო მოწყობილობების მიწოდების ვალდებულებას, თუმცა შემდგომში მიწოდებული იქნა All Pro Corporation-ის წარმოებული პროდუქცია, რომელიც სამინისტროს მიერ უპირობოდ იქნა ჩაბარებული. გარდა ამისა, საქონლის მიწოდებისას წარმოდგენილი თანდართული ინსტრუქციის [11] თანახმად, დეფიბრილატორის დამუხტვის დრო შეადგენს 7 წამზე ნაკლებს (360 ჯოული) და აკუმულატორის სრული დამუხტვის დრო 3.5 საათს, ხოლო მიმწოდებლის სატენდერო წინადადების თანახმად დამუხტვის დრო უნდა ყოფილიყო დაახლოებით 4.5 წამი და აკუმულატორის დამუხტვის დრო 3 სთ. აღნიშნულზე შემსყიდველის მხრიდან რეაგირება არ არის გაკეთებული. შესაბამისად, სახეზეა განსხვავებული მახასიათებლების მქონე, სხვა კომპანიის მიერ წარმოებული საქონელის მიღება-ჩაბარება, რომლის ხარისხთან შესაბამისობა წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვერ დასტურდება. მიღებული საქონელი მიღება-ჩაბარების აქტით, კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაუცველად, გადაცემული იქნა[12] შპს „ქ.

---

[8] SPA120004259
[9] 60.0 ათასი ლარი
[10] შპს „სენტინელი ჯი ემ ჯი“
[11] User's Manual HD-9000A Defibrillator
[12] 22/03/2012 წ.

ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრისთვის". შემდგომში [13], შესაბამისი ბრძანებით[14] გადაცემული ქონება შეტანილი იქნა მიმღები კომპანიის საწესდებო კაპიტალში.

2. ამბულატორიული ტრავმატოლოგიური დახმარების კომპონენტის ფარგლებში, შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს" მიერ, ორი და მეტი კოდით განხორციელებული სამედიცინო მომსახურების ტესტირებით დადგინდა, რომ 34 შემთხვევაში სამედიცინო დაწესებულების მხრიდან ადგილი ჰქონდა შემთხვევებს, როდესაც ბენეფიციარი სრულად ვერ სარგებლობდა ვაუჩერის პირობებით და მას უხდებოდა სამედიცინო მომსახურების ღირებულების ნაწილის ანაზღაურება, ასევე ერთიდაიგივე სამედიცინო მომსახურებაზე ორჯერ ანაზღაურების შემთხვევებს როგორც პაციენტის (ბენეფიციარის), ისე სამინისტროს მხრიდან. აგრეთვე გამოვლინდა სამედიცინო დაწესებულების მხრიდან სამინისტროსთვის თანხების ზედმეტად მოთხოვნის ფაქტები. კომპონენტის წესების უგულებელყოფით გადახდილი 567 ლარი ექვემდებარება პაციენტებისთვის დაბრუნებას. გამოვლენილი ფაქტების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, სამინისტრომ განახორციელოს კომპონენტის შესრულების სრული ინსპექტირება და ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

3. სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების კომპონენტი ითვალისწინებს ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ თხილვანის თემის სამედიცინო პუნქტის ექიმის მხრიდან სამედიცინო მომსახურების გაწევას. შესაბამისად, კომპონენტის სახელწოდება სრულად არ შეესაბამება განსახორციელებელი პროექტის შინაარსს. კომპონენტის თანახმად, სამედიცინო მომსახურების მიწოდებაზე გადახდილი თანხა წარმოადგენს ხელფასს (შრომის ანაზღაურებას), თუმცა გადახდილი თანხები დაფინანსებულია „სოციალური უზრუნველყოფის" მუხლიდან. ამასთან, გაფორმებული ხელშეკრულებები სამედიცინო მომსახურების მიწოდებაზე თავისი შინაარსით სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებებია. კომპონენტის ფარგლებში, სამინისტროს აპარატის მიერ ფარმაცევტული პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის [15] შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ პარამეტრებში მითითებულია კონკრეტული სასაქონლო ნიშნები (დასახელებები)[16].

4. თემის სამედიცინო პუნქტების ექიმამდელი სამედიცინო დახმარების განვითარების ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში,

---

[13] 04/04/2012 წ.

[14] აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2012 წლის 04 აპრილის N53 ბრძანება

[15] SPA120003287

[16] დარღვეულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12[1] მუხლის მე-6 პუნქტი

ხელშეკრულებისა და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გაფორმების გარეშე, თემის სამედიცინო პუნქტებში მომუშავე მედდებზე, „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით გადარიცხულია 29.5 ათასი ლარი. პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება და მიზანი შეუსაბამობაშია სამინისტროს მიერ განხორციელებულ დაფინანსების ფორმასთან[17]. კომპონენტის თანახმად, შერჩეულ სამედიცინო პუნქტებზე უნდა ჩატარებულიყო რეაბილიტაცია, აღჭურვა ან უნდა აშენებულიყო ახალი სამედიცინო პუნქტი. არსებული მასალებით ირკვევა, რომ სამინისტროს არ ჰქონდა წინასწარ მომზადებული საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. ბენეფიციარებს რიგ შემთხვევებში სამინისტროში წარმოდგენილი აქვთ შესყიდული საქონლის/მომსახურების დოკუმენტაცია, თუმცა მათი პროგრამის მიზნებისთვის გამოყენება წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვერ დასტურდება.

5. რესურსტევადი მაღალტექნოლოგიური (გულის ქირურგიის) სამედიცინო მომსახურების კომპონენტის ფარგლებში, მინისტრის ბრძანებით[18] დამტკიცებული, ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შესრულების, აღრიცხვის, ანგარიშგებისა და ანაზღაურების წესის თანახმად, ბალონური ანგიოპლასტიკის შემთხვევაში მომსახურების ღირებულებას აკლდება სტენტის ღირებულება. წესი არ ითვალისწინებს იმ შემთხვევას, როდესაც ანგიოპლასტიკა ხორციელდება ბალონის გამოყენების გარეშე. შპს ჯანმრთელობის ცენტრი „მედინას“ მიერ მიწოდებული მომსახურების ტესტირებით დგინდება, რომ ასეთ შემთხვევებში სრულად ფინანსდებოდა ნოზოლოგიური ჯგუფისთვის დადგენილი ტარიფი და არ ხდებოდა ბალონის ღირებულების გამოკლება და გამოუყენებელი ბალონის თანხა გადანაწილებულია პირდაპირ/არაპირდაპირ ხარჯებზე და მოგებაზე.

6. მოსახლეობის განსაკუთრებულ შემთხვევებში სამედიცინო დახმარების კომპონენტის ფარგლებში, სამინისტროს უფლებამოსილი კომისიის სხდომათა ოქმების ტესტირებით დგინდება, რომ რიგ შემთხვევებში[19], იდენტურ გარემოებებში, ბენეფიციართა შერჩევის მიდგომა დიფერენცირებულია.

7. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით სავარძელ-ეტლით უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში, არსებული დოკუმენტაციის ტესტირებით ვერ დგინდება კომპონენტის ბენეფიციარებზე დადგენილი პარამეტრების მქონე ეტლების მიწოდების საკითხი.

---

[17] დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“ მეთოდური განმარტებების „სოციალური უზრუნველყოფის“ მოთხოვნები

[18] აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 03 იანვრის N12/03 ბრძანება

[19] კომისიის სხდომის ოქმები N32; N56; N54; N55; N29; N20

8. სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა“ გამარტივებული ელექტრონული ტენდერის [20] საშუალებით შეისყიდა სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო თემატიკით გაფორმებული სუვენირები, მაისურები, კეპები, სტიკერები, გულსაბნევები და სხვა აქსესუარები. ტენდერის ტექნიკური დოკუმენტაცია ზოგადია და პოტენციური მომწოდებლისთვის რთულია კონკრეტული მისაწოდებელი საქონლის იდენტიფიკაცია[21]. იგივე სახის პრობლემაა თემატურ – საგანმანათლებლო ღონისძიების (კონკურსი/კონფერენცია/ფესტივალის) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის [22] შემთხვევაშიც, რომლის ტექნიკური დოკუმენტაციის ტექნიკური პარამეტრებითა და მომსახურების პირობებით ვერ დგინდება გასაწევი მომსახურების შინაარსი [23] . გადახდები განხორციელებულია ხარჯის დამადასტურებელი სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის გარეშე.

9. სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტომ“ არაეფექტური დაგეგმვისა და სათანადო რესურსების არარსებობის გამო, სრულყოფილად ვერ უზრუნველყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ ეკომიგრანტთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა პროფესიული გადამზადების მიზნობრივი პროგრამის განხორციელება. გრანტის სახით მიღებული თანხის აუთვისებელი ნაწილი[24] სააგენტომ დაუბრუნა გრანტის გამცემს.

10. სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს“ 2012 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა არ არის შედგენილი დაფინანსების წყაროს შესაბამისად[25].

---

[20] SPA120010690

[21] დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-11 მუხლის მე-6 პუნქტი

[22] SPA120011772

[23] დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-11 მუხლის მე-6 პუნქტი

[24] 25.0 ათასი ლარიდან ათვისებული იქნა 12.5 ათასი ლარი

[25] დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შევსების ინსტრუქციის“ 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი

შრომის ანაზღაურება

სამინისტროს აპარატის შრომის ანაზღაურების დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენდა 1 000.8 ათას ლარს, რომელიც წლის განმავლობაში გაიზარდა 208.1 ათასი ლარით და შეადგინა 1 208.9 ათასი ლარი (საკასო ხარჯი 1 208.7 ათასი ლარი). „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული მთლიანი ხარჯიდან 475.3 ათასი ლარი გაცემულია პრემიის სახით. პრემია არ არის გაცემული მხოლოდ იანვარსა და თებერვლის თვეში. გაცემული პრემიის ოდენობის შესახებ ინფორმაცია მოცემულია დიაგრამის სახით:



ორ შემთხვევაში სამინისტროს საჯარო მოსამსახურეებზე შესაბამისი თვის პრემია[26] გაცემულია იმ პირობებში, როდესაც ეს პირები მთელი თვის განმავლობაში სარგებლობდნენ ანაზღაურებადი/ანაზღაურების გარეშე შვებულებით. აგრეთვე არის შემთხვევები, როდესაც თვის განმავლობაში საჯარო მოსამსახურე სამსახურებრივ უფლებამოსილებებს ახორციელებდა მხოლოდ ერთი სამუშაო დღის განმავლობაში, თუმცა შესაბამისი თვის პრემია გაცემულია თანამდებობრივი სარგოს სრული ან ნახევარი ოდენობით.

ფინანსურ ანგარიშგებაში იდენტიფიცირებული ნაკლოვანებები

სამინისტროს ნაერთი ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები სრულყოფილად და სათანადოდ არ ასახავს სამინისტროს და მის კონტროლს დაქვემდებარებული დაწესებულებების ფინანსურ მდგომარეობას. სამინისტროს აპარატის მხრიდან

[26] დარიცხული თანხა შეადგენს 824 ლარს.

ძირითად საშუალებების რვა პოზიციაზე ადგილი ჰქონდა 2012 წლის ცვეთის შემცირებული ნორმით დარიცხვას[27].

დებიტორული/კრედიტორული დავალიანებების მქონე პირებთან არ არის განხორციელებული ურთიერთშედარებები[28].

დადგენილი წესით, ხელშეკრულება არ არის გაფორმებული მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან, თუმცა ინვენტარიზაციის მასალებში მითითებულია შესაბამის ქონებაზე მატერიალურად პასუხისმგებელი პირი[29].

სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს" 2012 წლის საინვენტარიზაციო კომისიაში [30] შეყვანილია მატერიალურად პასუხისმგებელი პირი[31].

ბიუჯეტის შედგენა-შესრულების მდგომარეობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით[32] ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სრული დაფინანსება განისაზღვრა 6 203.7 ათასი ლარით. მათ შორის სამინისტროს აპარატის დაფინანსება მიზნობრივი პროგრამების ჩათვლით შეადგენდა - 5 364.0 ათას ლარს, სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" – 543.9 ათას ლარს, სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს"– 295.8 ათას ლარს. წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების [33] შედეგად, სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი დაწესებულებების 2012 წლის ბიუჯეტის

---

[27] დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ" ინსტრუქციის მე-7 მუხლი

[28] დარღვეულია საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და აწგარიშგების შესახებ" დებულების მე-13, მე-14 და მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი

[29] დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-20 პუნქტი

[30] სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის" დირექტორის ბრძანება N01-02/13, 03/12/2012 წ.

[31] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის" მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი

[32] აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ" (ვებგვერდი, 111221008, 27/12/2011)

[33] „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილება განხორციელდა ოთხჯერ

წლიური გადასახდელების დაზუსტებული გეგმა გაიზარდა 1 299.3 ათასი ლარით და შეადგინა 7 503.0 ათასი ლარი. სამინისტროს აპარატის დაფინანსება მიზნობრივი პროგრამების გარეშე გაიზარდა 127.5 ათასი ლარით, სამინისტროს აპარატის მიზნობრივი პროგრამების ბიუჯეტი გაიზარდა 1 181.1 ათასი ლარით, სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ დაფინანსება - 31.5 ათასი ლარით, ხოლო სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს“ დაფინანსება - 34.2 ათასი ლარით.

სამინისტროს საქმიანობის ამოცანებისა და კომპეტენციის გათვალისწინებით, ეფექტურად ვერ შეფასდება საბიუჯეტო ცვლილებების განხორციელება იქედან გამომდინარე, რომ ზემოაღნიშნული ცვლილებებით გაიზრდა შრომის ანაზღაურების მუხლით გასაწევი ხარჯები - 208.1 ათასი ლარით, რომელიც გამოყენებული იქნა თანამშრომელთა პრემირებისთვის და არაფინანსური აქტივების ბიუჯეტი - 46.0 ათასი ლარით, სამინისტროსთვის ავტომანქანის შესყიდვის მიზნით.

სამინისტროს მთლიანმა საკასო ხარჯმა შეადგინა 7 684.6 ათასი ლარი, საიდანაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მიღებული დაფინანსებით გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 430.4 ათას ლარს. სამინისტროს დაზუსტებული ბიუჯეტი შესრულდა 97.0 %-ით. მათ შორის, სამინისტროს აპარატის ბიუჯეტი შესრულდა 95.4%-ით, სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ – 99.4%-ით, სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს“ – 95.7%-ით. ბიუჯეტის შესრულების მაღალი პროცენტი განპირობებულია რესპუბლიკურ ბიუჯეტში წლის ბოლოს განხორციელებული ცვლილებით[34], რომლითაც მოხდა გეგმის კორექტირება საკასო მონაცემების გათვალისწინებით.

ჰენრი სანიკიძე /აუდიტორი/

გურამ დუმბაძე /აუდიტორი/

14 ივნისი 2013 წელი

[34] აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის 27 დეკემბრის კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო

ბუღალტრული ანგარიშგების ფორმა
2012 წელი

აქტივები და მოთხოვნები	2011	2012
მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	5	7552
მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	6197	0
მოთხოვნები წინასწარი გადახდებით	840	13608
სხვა მატერიალური მარაგები	111885	87297
შენობა-ნაგებობები	377266	411467
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	378615	338043
სხვა ძირითადი აქტივები	6650	18165
ბალანსი	881458	876132

ვალდებულებები და კაპიტალი	2011	2012
მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	205	1109
აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	17	10
სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	0	7066
წმინდა ღირებულება	881236	867946
ბალანსი	881458	876131
პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	0	34260
ამორტიზირებული ძირითადი აქტივები	122149	128543
ვადაგადაცილებული დავალიანებები	205	0
ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	59847	101922

86

ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

ხარჯების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის
1. ხარჯები	7379100	7805580	7556907	7556907	7556907	8049259	492352
1.1 შრომის ანაზღაურება	1208900	1208704	1208704	1208704	1208704	1208704	0
1.1.1 ხელფასები	1208900	1208704	1208704	1208704	1208704	1208704	0
1.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით	1208900	1208704	1208704	1208704	1208704	1208704	0
1.1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო	733554	733358	733358	733358	733358	733358	0
1.1.1.1.3 პრემია	475346	475346	475346	475346	475346	475346	0
1.2 საქონელი და მომსახურება	233420	231692	224083	224083	224083	238644	14561
1.2.1.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	18900	18900	18784	18784	18784	18784	0
1.2.1.2 მივლინებები	11000	11000	10650	10650	10650	10650	0
1.2.1.3 ოფისის ხარჯები	73760	73555	70156	70156	70156	75762	5606
1.2.1.4 წარმომადგენლობითი ხარჯები	16000	16000	14598	14598	14598	14598	0
1.2.1.7 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	1500	1500	1378	1378	1378	1378	0

ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

1.2.1.8 ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯი	69920	69920	69134	69134	69134	77825	8691
1.2.1.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	42340	40817	39383	39383	39383	39647	264
1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	0	0	0	0	0	75912	75912
1.5 სუბსიდიები	691160	688980	674421	674421	674421	694469	20048
1.7 სოციალური უზრუნველყოფა	5041220	5473304	5249795	5249795	5249795	5572867	323072
1.7.2 სოციალური დახმარება	5031220	5461585	5238076	5238076	5238076	5561148	323072
1.7.2.1 ფულადი ფორმით	5031220	5461585	5238076	5238076	5238076	5234820	-3256
1.7.2.2. სასაქონლო ფორმით	0	0	0	0	0	326328	326328
1.7.3 დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	10000	11719	11719	11719	11719	11719	0
1.7.3.1 ფულადი ფორმით	10000	11719	11719	11719	11719	11719	0
1.8 სხვა ხარჯები	204400	202900	199904	199904	199904	258663	58759
1.8.2 სხვადასხვა ხარჯები	204400	202900	199904	199904	199904	258663	58759
1.8.2.1 მიმდინარე	204400	202900	199904	199904	199904	206763	6859
1.8.2.2 კაპიტალური	0	0	0	0	0	51900	51900

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1. არაფინანსური აქტივები	123900	127580	127536	127536	127536
1.1 ძირითადი აქტივები	123900	127580	127536	127536	127536
1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	111950	113730	113686	113686	113686
1.1.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	43500	43500	43500	43500	43500
1.1.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	68450	70230	70186	70186	70186
1.1.3 სხვა ძირითადი აქტივები	11950	13850	13850	13850	13850
1.1.3.2.2 სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები	11950	13850	13850	13850	13850

ბალანსის დანართი ფორმა N2-2

ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
2. ვალდებულებები	0	205	205	205	205
2.1 საშინაო	0	205	205	205	205
2.1.7 სხვა კრედიტორული დავალიანებები	0	205	205	205	205

89

ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

დებეტი	თანხა	კრედიტი		თანხა
ნაშთი წლის დასაწყისისათვის	17	ნაშთი წლის დასაწყისისათვის		881236
მომუშავეთა ანაზღაურება	1208704	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება		7684647
საქონელი და მომსახურება	238644	შემოსავლები		337469
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	75912		მ. შ. გრანტები	337469
მ. შ. ფიზიკური ცვეთა	75912			
სუბსიდიები	694469			
გრანტები	12491			
სოციალური უზრუნველყოფა	5572867			
სხვა ხარჯები	258663			
აქტივების ვალდებულებების უსასყიდლოდ გასვლა	25365	აქტივების ვალდებულებების უსასყიდლოდ მიღება		42670
არაფინანსური აქტივები	25365		არაფინანსური აქტივები	42670
სხვა ეკონომიკური ნაკადები	7588	სხვა ეკონომიკური ნაკადები		16644
სადებეტო ბრუნვა	8094703	საკრედიტო ბრუნვა		8081430
სულ ჯამი	8094720	სულ ჯამი		8962666
ნაშთი პერიოდის ბოლოს	0	ნაშთი პერიოდის ბოლოს		867946

ბალანსის დანართი ფორმა N4

ანგარიში სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ

შემოსავლები	სულ		
	გეგმით	საკასო	ფაქტიური
ნაშთი წლის დასაწყისისათვის	0	5	0
საანგარიშო პერიოდის შემოსავლები	0	41501	41501
გრანტები	0	20000	20000
სხვა შემოსავლები	0	21501	21501
ე) შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	0	21501	21501
1. ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	0	33954	41501
1.6. გრანტები	0	12491	20000
1.8. სხვა ხარჯები	0	21463	21501
ნაშთი წლის (კვარტილის) ბოლოს	0	7552	0

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

არაფინანსური აქტივების დასახელება	მიღება								გასვლა				ნაშთი წლის პერიოდის ბოლოს
	ნაშთი წლის დასაწ	შესყიდვით	იმავე დონის სახ.ერთ. უსასყ	სხვა შემოსავლებით	სხვა ეკ. ნაკადებით	იმავე დონის სახ.ერთ. უსასყ	სუბსიდიებით	სოც.დახმარებით	სხვა ხარჯებით	სხვა ეკ.ნაკადებით	ძირით. კაპიტ. მოხმარ.	საქონ. და მომსახ.	
1. მატერიალური მარაგები	111885	147458	0	317476	0	0	33110	326453	21820	0	0	108138	87297
1.1. სტრატეგიული მარაგები	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
1.2. სხვა მატერიალური მარაგები	111885	147458	0	317476	0	0	33110	326453	21820	0	0	108138	87297
1.2.1. ნედლეული და მასალები	14682	4030	0	0	0	0	0	0	5297	0	0	0	13415
1.2.2 დაუმთავრებელი წარმოება/მომსახურება	66933	0	0	317476	0	0	0	326453	0	0	0	0	57956
1.2.5 ფულადი დოკუმენტები	23249	64397	0	0	0	0	15574	0	9488	0	0	50255	12329.2
1.2.6 სათადარიგო ნაწილები	0	10713	0	0	0	0	3803	0	0	0	0	6910	0
1.2.7 სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები	7021	68318	0	0	0	0	13734	0	7035	0	0	50973	3597.28
2. ძირითადი აქტივები	762531	124280	38360	0	3267	25365	0	0	51900	7588	24858	51053	767675
2.1 შენობა-ნაგებობები	377266	0	38360	0	0	0	0	0	0	0	4159	0	411467
2.1.1 საცხოვრებელი შენობები	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
2.1.2 არასაცხოვრებელი შენობები	375782	0	38360	0	0	0	0	0	0	0	4159.1	0	409982.9

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

2.1.9 სხვა ნაგებობები	1484	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1484
2.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	378615	110430	0	0	3267	25365	0	0	51900	7588	18363	51053	338043
2.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	215339	43500	0	0	0	25365	0	0	0	7588	3297	29831	192757.6
2.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვეტარი	163276	66930	0	0	3267	0	0	0	51900	0	15066	21222	145285
2.3 სხვა ძირითადი აქტივები	6650	13850	0	0	0	0	0	0	0	0	2335	0	18165
2.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	6650	13850	0	0	0	0	0	0	0	0	2335	0	18165
3. გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	0	11938	4310	0	13377	0	24295	0	713	0	0	4617	0

ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე

დასახელება	სანგარიშო პერიოდის დასაწყისში (რაოდეობა)		საანგარიშო პერიოდში მიღება		საანგარიშო პერიოდში გასვლა		საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტიური)			
	მუშა მდგომარეობა	არამუშა მდგომარეობა	შეძენა (რაოდენობა)	სხვა სახით მიღება (რაოდენობა)	ექსპლუატაციიდან გასული (რაოდენობა)	სხვა სახით გასული (რაოდენობა)	სულ ხარჯი	მ.შ შეკეთება	მ.შ საწვავი	მ.შ სათადარიგო ნაწილები	სულ ხარჯი	მ.შ შეკეთება	მ.შ საწვავი	მ.შ სათადარიგო ნაწილები
სატრანსპორტო საშუალება სულ	11	0	1	0	0	1	96415	21305	64397	10713	104770	21305	72752	10713
მ.შ მსუბუქი	8	0	1	0	0	1	86191	15121	64397	6673	73356	15121	51562	6673
ჯიპები და პიკაპები	2	0	0	0	0	0	8904	6184	0	2720	26320	6184	17416	2720
ჯიპი (დიზელი)	1	0	0	0	0	0	1320	0	0	1320	5094	0	3774	1320
სატვირთო (მიკროავტობუსი)	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
მანქანა–დანადგარები და ინვენტარი და საოფისე ტექნიკა	523	19	45	0	0	27	2625	2625	0	0	2625	2625	0	0
მობილური ტელეფონები	1	3	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
ტელევიზორები	12	2	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
კომპიუტერები	96	14	7	3	0	0	1925	1925	0	0	1925	1925	0	0